



პრევენციული დაკავება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისობა
ადამიანის უფლებების სტანდარტებთან

პრევენციული დაკავება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსში შეტანილი ცვლილებების
შესაბამისობა ადამიანის უფლებების
სტანდარტებთან

პუბლიკაცია შექმნილია შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს შვედეთის მთავრობის შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
შორენა ლოლაძე

ავტორი: ბიორგი გოცირიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სპანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პრევენციული დაკავების უფლებამოსილების აღიარება	5
3. პრევენციული დაკავების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული კანონმდებლობა და პრაქტიკა	7
4. პრევენციული დაკავების გამოყენების საფუძვლები	12
5. სასამართლო კონტროლი და დაკავების ხანგრძლივობა	17
6. პრევენციული დაკავება, როგორც ultima ratio საშუალება	18
7. დასკვნა	21

1. შესავალი

2024 წლის 13 დეკემბერს „ქართულმა ოცნებამ“ ცვლილება შეიტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის 244-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა პირის პრევენციულად დაკავების შესაძლებლობა. ახალი რეგულაციით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როდესაც ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით, დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება“. ამგვარად, ამ ცვლილებამ საქართველოს კანონმდებლობაში გააჩინა პრევენციული დაკავების ინსტიტუტი მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის. წარმოდგენილი კვლევის მიზანია, შეაფასოს, რამდენად შეესაბამება პრევენციული დაკავების ინსტიტუტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაცულ პრინციპებს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება). კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება არსებული საკანონმდებლო ნორმების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს.

კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილ სამართლებრივ ორგანოსთან მისი წარდგენის მიზნით, თუკი არსებობს დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი, ასევე, როდესაც დაკავება ან დაპატიმრება აუცილებელია დანაშაულის პრევენციის ანდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პრევენციული დაკავების უფლებამოსილების აღიარება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ პრევენციულ დაკავებასთან მიმართებით განმარტა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქმეში S. V. AND A. v. DENMARK. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ შეცვალა მანამდე არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენება ხდებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე.¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკით: „კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეორე ალტერნატიული ნორმა არეგულირებდა წინასწარ პატიმრობას და არა პრევენციული მიზნებისთვის იმ ადამიანის დაკავებას, რომელიც ჯერ არ არის ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში“.² აქედან გამომდინარე, „გ“ ქვეპუნქტში მოცემული სიტყვები - „როდესაც დაკავება ან დაპატიმრება გონივრულად აუცილებლად არის მიჩნეული დანაშაულის პრევენციისთვის“ - არ ნიშნავდა იმას, რომ დაკავება ან დაპატიმრება უნდა მომხდარიყო დანაშაულის მომზადების სტადიაზე, თუკი, სისხლის სამართლის კოდექსით, მომზადება არ იყო დასჯადი.³ შესაბამისად, S., V. AND A. v. DENMARK საქმემდე, თუკი დაკავება არ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმეს, იმავდროულად, ადამიანს ჰქონდა განზრახვა, ჩაედინა დანაშაული, მაგრამ ამ დანაშაულის ჩასადენად გაწეული მოსამზადებელი ქმედებები თავისთავად არ ისჯებოდა მოცემული ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსით, ამ შემთხვევასთან მიმართებით არ გამოიყენებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფორმულირება - „როდესაც დაკავება ან დაპატიმრება გონივრულად აუცილებლად არის მიჩნეული დანაშაულის პრევენციისთვის“. ამის ნაცვლად, დასახელებული დებულება გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც ადამიანი ჩაიდენდა დანაშაულს (დაუსრულებელი დანაშაული, რომელიც მოცემული ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია) და ხდებოდა მისი წარდგენა სასამართლოს წინაშე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების გადაწყვეტილების გამოსატანად ან სასამართლოს განჩინების მისაღებად ამ პირის დაკავების მიზნით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მიდგომა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2018 წლის 22 ოქტომბერს შეცვალა, რაც შემდეგნაირად ახსნა: „ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ევროპაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში საფეხბურთო მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე, ასევე **სხვადასხვა ტიპის მასობრივ ღონისძიებებზე** მომხდარ უამრავ ინციდენტს, რომლებიც ძალადობაში გადაიზარდა. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ წევრი ქვეყნების უმრავლესობა დგას მასობრივი ღონისძიებების დროს წესრიგის დაცვის გამოწვევის წინაშე.“⁴ შესაბამისად, ცდილობს, კონვენცია განმარტოს და გამოიყენოს არსებული გამოწვევების მხედველობაში მიღებით, იმავდროულად, ეფექტიანად დაიცვას ადამიანის უფლებები. ევროპული სასამართლო სარგებლობს შესაძლებლობით, დაადგინოს, რამდენად არსებობს სასამართლო პრაქტიკის განვითარების აუცილებლობა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით.⁵

¹ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §108, 22 October 2018.

² Ostendorf v. Germany no. 15598/08, §82, 7 March 2013.

³ Ostendorf v. Germany no. 15598/08, §86, 7 March 2013.

⁴ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §94, 22 October 2018.

⁵ იქვე, §95.

საკვანძო კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, არის: კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ჩაწერილი სიტყვები „როდესაც ეს გონივრულად აუცილებელია დანაშაულის პრევენციისთვის“ (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეორე ალტერნატივა) არის თუ არა დამოუკიდებელი და განსხვავებული მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირველი ალტერნატივისგან, რომლის მიხედვითაც, დაკავება ან დაპატიმრება ხდება დანაშაულის ჩადენის თაობაზე გონივრული ეჭვის საფუძველზე.⁶

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს ადამიანის კანონიერი დაკავებისა ან დაპატიმრების სამ ერთმანეთისგან განსხვავებულ საფუძველს:

1) დანაშაულის ჩადენის თაობაზე გონივრული ეჭვის საფუძველზე დაკავებას ან დაპატიმრებას;

2) როდესაც დაკავება ან დაპატიმრება გონივრულად აუცილებლად არის მიჩნეული დანაშაულის ჩადენის პრევენციისთვის;

3) როდესაც დაკავება ან დაპატიმრება გონივრულად აუცილებლად არის მიჩნეული დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაქცევის თავიდან ასაცილებლად.⁷

„გ“ ქვეპუნქტის მეორე ალტერნატივის მიზანი იყო დაკავების პირველი ალტერნატივისგან დამოუკიდებელი საფუძვლის შექმნა. ეს განზრახვა აისახა კონვენციის ტექსტის შემუშავების პროცესში, რომლის თანახმად, ნებადართული დაკავება ან დაპატიმრება ხორციელდება დანაშაულის ჩადენის პრევენციის თაობაზე გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში. ამ საფუძველმა არ უნდა გამოიწვიოს პოლიციური სახელმწიფოს აშენება. ამის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია ინდივიდის დაკავება, რათა თავიდან იყოს აცილებული დანაშაულის ჩადენა, თუნდაც მაშინ, როცა ფაქტები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის განზრახვაზე მიუთითებს, თავისთავად, შესაძლოა, არ განეკუთვნებოდეს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებებს“.⁸

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა: იმისთვის, რომ პოლიციას ჰქონდეს პრაქტიკული შესაძლებლობა, განახორციელოს საკუთარი ფუნქციები (შეინარჩუნოს წესრიგი და დაიცვას საზოგადოება) კონვენციის მე-5 მუხლის სადამფუძნებლო პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს ინდივიდის დაცვას თვითნებობისგან, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უშვებს ადამიანის კანონიერი დაკავების შესაძლებლობას მაშინაც, როცა ეს არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმესთან.⁹

ამასთანავე, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ტერმინ „დანაშაულს“ აქვს ავტონომიური შინაარსი და მასში არ იგულისხმება ის ქმედებები, რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით.¹⁰ იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადამიანის დაკავების და სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაპატიმრების შესაძლებლობას, ასეთი სამართალდარღვევები, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განეკუთვნება „დანაშაულს“.

⁶ იქვე, §96.

⁷ იქვე, §98.

⁸ იქვე, §99.

⁹ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §116, 22 October 2018.

¹⁰ Steel and Others v. the United Kingdom §48, 23 September 1998, Reports 1998-VII.

3. პრევენციული დაკავების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული კანონმდებლობა და პრაქტიკა

V. AND A. v. DENMARK საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პრევენციული დაკავების თაობაზე დანიის კანონმდებლობა და კონკრეტულ საქმეში მისი აღსრულების პრაქტიკა შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს.

დანიამი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პრევენციული დაკავების საკითხი, რომელიც არ უკავშირდება დაკავებულის სისხლისსამართლებრივ ღვეწას, წესრიგდება „პოლიციის შესახებ“ კანონით.

ამ კანონის თანახმად, პოლიციამ თავიდან უნდა აიცილოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ასევე, ინდივიდის და საზოგადოების მიმართ არსებული რისკები. ამ მიზნით, მან უნდა გაატაროს ღონისძიება იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ქმნის ამგვარ საფრთხეს. ამ მიზნით, პოლიცია უფლებამოსილია:

- გამოსცეს ბრძანება;
- ჩაატაროს ადამიანის ზედაპირული შემოწმება, დაათვალიეროს მისი სხეული და სხვა ნივთები, მათ შორის, ავტომობილი, მის მფლობელობაში არსებული საგნები, თუკი არსებობს ვარაუდი, რომ პირი ფლობს ნივთს, რომელიც გამიზნულია საზოგადოებრივი წესრიგის დასარღვევად, ინდივიდისთვის საფრთხის შესაქმნელად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფისთვის;
- ჩამოართვას პირს ნივთები.

თუკი ეს საშუალებები არაადეკვატური/არასაკმარისია რისკის ან საფრთხის თავიდან ასაცილებლად, პოლიცია, საჭიროების შემთხვევაში, აკავებს ადამიანს. ასეთი დაკავება უნდა იყოს მოკლე და ზომიერი, როდესაც ეს შესაძლებელია და არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს.¹¹

დანიური სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული დაკავება არ გამოიყენება მაშინ, როცა ვინმეს მიმართ გამოძიება/სისხლისსამართლებრივი ღვეწა მიმდინარეობს. ამ ნორმით ადამიანი შეიძლება დააკავონ არა მის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულისთვის, არამედ მომავალში მისი მხრიდან მომდინარე დანაშაულის ჩადენის რისკის ან საფრთხის გამო. უკვე ჩადენილი დანაშაულისთვის პირის დაკავება სხვა ნორმით რეგულირდება.¹²

დანიურმა სასამართლოებმა დამატებით განმარტეს, რა პირობების დაცვით უნდა მოხდეს ადამიანის პრევენციული დაკავება მომავალში მის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად. ამგვარი „საფრთხე წარმოიშობა, როდესაც ადამიანის მხრიდან მომდინარეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ინდივიდისა და საზოგადოებისთვის საშიშროების შექმნის კონკრეტული და მყისიერი რისკები. პრევენციული დაკავებისთვის, მნიშვნელოვანია, არსებობდეს იმის მაღალი ალბათობა, რომ ეს რისკები რეალიზდება, თუკი პოლიციელი არ აღკვეთს მას. დანიური სასამართლოს პრაქტიკით, ის ფაქტი, რომ ადამიანი ცნობილი ჩხუბისთავია, ცალკე

¹¹ იქვე, §30.

¹² იქვე.

ადებული, არ ამართლებს მის პრევენციულ დაკავებას. ის, რომ ადამიანი ჩხუბისთავია და ადრეც იყო შემჩნეული ჩხუბში, ამართლებს მის დაკავებას მხოლოდ სხვა ვითარებასთან კავშირში. *რისკი ან საფრთხე უნდა იყოს სათანადოდ რეალისტური იმისთვის, რომ, საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შემდეგ, პოლიციელის მიერ ადამიანის დაკავება გაამართლოს.*¹³

რაც შეეხება დანიის კანონმდებლობაში არსებულ ჩანაწერს, რომ „დაკავება არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს“, მისი ათვლა იწყება ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის დროის ჩათვლით. ექვსსაათიანი პერიოდის გადაჭარბება დასაშვებია, თუ დაკავებულია ადამიანთა დიდი ჯგუფი და პოლიციაში მათი გადაყვანა, რეგისტრაცია, იდენტიფიკაცია შეუძლებელია 6 საათის განმავლობაში.¹⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასახელებულ საქმეში მსჯელობდა დანიის ამ კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილ ფაქტობრივ მოცულობაზე დაყრდნობით. ამ საქმეზე საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა დანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების სამმა გულშემატიკვარმა, რომლებიც პრევენციულად დააკავეს კოპენჰაგენში საფეხბურთო მატჩის გამართვის დღეს.¹⁵ 2009 წლის 10 ოქტომბერს 20:00 – 22:00 საათის მონაკვეთში კოპენჰაგენში იმართებოდა საფეხბურთო მატჩი დანიასა და შვედეთს შორის. პოლიციას თავისი ინფორმატორებისგან ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ დანიელი და შვედი გულშემატიკვარი გეგმავდა ხულიგნურ ჩხუბს. კოპენჰაგენში სამუშაოდ გამოიძახეს პოლიცია დანიის სხვა ქალაქებიდან, ვინაიდან ისინი უკეთ იცნობდნენ მათი ქალაქის ფეხბურთის ფანკლუბის მოჩხუბარ ლიდერებს.¹⁶

სამივე მომჩივანი იყო დანიის ქალაქ ორჰუსიდან. ისინი მატჩის დაწყებამდე ჩავიდნენ კოპენჰაგენში და დანიის ფეხბურთის სხვა გულშემატიკვრებთან ერთად იმყოფებოდნენ ერთ-ერთ ბარში.¹⁷ ღონისძიების სტრატეგიულმა მეთაურმა ორჰუსის საქალაქო სასამართლოს (რომელმაც განიხილა დაკავების კანონიერების საკითხი¹⁸) განუცხადა: შუადღის 12:00 საათიდან, როდესაც პოლიცია ქუჩაში გავიდა, საპოლიციო მანევრირების ტაქტიკა იყო პროაქტიული დიალოგის წარმოება ფეხბურთის გულშემატიკვრებსა და მყურებლებთან. შეტაკების შემთხვევაში, მხოლოდ წამქეზებლები უნდა დაეკავებინათ. 12:00 საათიდან კოპენჰაგენის ქუჩებში უნდა გამოჩენილიყვნენ ფეხბურთის დანიელი და შვედი ფანები.¹⁹ პოლიციელმა, რომელიც ორჰუსში მუშაობდა, სამივე მომჩივანი კოპენჰაგენის ერთ-ერთ ლუდხანაში ნახა. ეს პოლიციელი არაერთხელ შეხვედრია მეორე და მესამე მომჩივანს საფეხბურთო მატჩებზე მომხდარი ჩხუბის დროს და მოუსმენია მათი შეძახილები „ვამაყობთ, რომ ვართ თეთრკანიანი ხულიგნები.“ ისინი ისხდნენ ფანკლუბის ერთ-ერთი ლიდერის გვერდით, რომელსაც მეორე მომჩივანი ელაპარაკებოდა.²⁰ მეორე და მესამე მომჩივანი ორჰუსიდან ჩამოსულ ფეხბურთის გულშემატიკვრებს მითითებებს აძლევდნენ. სხვა მხრივ, ლუდხანაში ვითარება მშვიდი იყო. სამივე მომჩივანი ადრეც არაერთხელ დაუკავებიათ ფეხბურთთან დაკავშირებულ ძალადობაში მონაწილეობისთვის.²¹

¹³ იქვე.
¹⁴ იქვე.
¹⁵ იქვე, §11, §12.
¹⁶ იქვე, §10.
¹⁷ იქვე.
¹⁸ იქვე, §18.
¹⁹ იქვე, §20.
²⁰ იქვე, §20.
²¹ იქვე, §25.

დანიელ და შვედ გულშემატკივრებს შორის პირველი შეტაკება მოხდა 15:41 საათზე ამარგერტორვის მოედანზე. ბარი, სადაც სამივე მომჩივანი იმყოფებოდა, მდებარეობდა 700 მეტრის მოშორებით ჩხუბის ადგილიდან.²² სამივე მომჩივანმა, მრავალრიცხოვან დანიელ ფანებთან ერთად, ეს ბარი დატოვა და ჩხუბის ადგილისკენ გაეშურა. პოლიცია ორჰუსელ გულშემატკივრებს უკან გაჰყვა. როდესაც ისინი ამარგერტორვის მოედანზე მივიდნენ, პოლიციამ გზა მანქანებით ჩაუხერგა და მათ შვედ ფანებთან მიახლოების შესაძლებლობა არ მისცა. ამის შემდეგ პოლიციამ დანიელ ფანებს პარალელურ ქუჩაზე გადასვლა მოსთხოვა, რათა იქ მათი ვინაობა დაედგინა.²³ 15:50 საათზე პარალელურ ქუჩაზე პოლიციამ დააკავა მეორე და მესამე მომჩივანი. ამის მიზეზი ის იყო, რომ პოლიციას ჰქონდა სტრატეგია, დაეკავებინა მხოლოდ ძალადობის წამქეზებლები და არა რიგითი მონაწილეები. გარდა ამისა, მეორე და მესამე მომჩივანი ბარში მითითებებს აძლევდნენ ორჰუსიდან ჩამოყვანილ გულშემატკივარს, ხოლო მეორე მომჩივანი ელაპარაკებოდა საფეხბურთო ფანკლუბის ლიდერს. პოლიციის სტრატეგიამ გაამართლა - მთელი მატჩის განმავლობაში ორჰუსელი გულშემატკივრები ხელმძღვანელის გარეშე დარჩნენ.²⁴

საპოლიციო ღონისძიების სტრატეგიული მეთაურის მიერ ორჰუსის სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, რომ დღის პირველ ნახევარში პოლიციას რაც შეიძლება ცოტა ადამიანი უნდა დაეკავებინა. ამის მიზეზი იყო დაკავების 6-საათიანი ვადა, რომელიც შეიძლებოდა მატჩის მიმდინარეობისას ან მისი დამთავრებიდან მალევე ამოწურულიყო, როდესაც შვედი გულშემატკივრები ჯერ კიდევ ქალაქის ცენტრში იქნებოდნენ. 6-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ პოლიციას მოუწევდა, გაეთავისუფლებინა ხულიგნები, რომლებიც ქალაქის ცენტრში დაბრუნდებოდნენ და სტადიონზე მყოფი ან იქიდან ახლად გამოსული მოწინააღმდეგე გუნდის მხარდამჭერებზე იძალადებდნენ. სწორედ ამის გამო, პოლიციას მიეცა მითითება, დაეკავებინა მხოლოდ ჩხუბის წამქეზებლები.²⁵ მეორე და მესამე მომჩივანი სწორედ ამ ნიშნით შეირჩნენ, ვინაიდან, პოლიციის დაკვირვებით, ისინი ხელმძღვანელობდნენ და მითითებას აძლევდნენ ფეხბურთის სხვა ფანებს.²⁶

პირველი მომჩივანი ამ ეპიზოდში არ დაუკავებიათ.²⁷ ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც მოგვიანებით დაჰკითხა ორჰუსის საქალაქო სასამართლომ, პოლიციის მანქანაში იჯდა, როდესაც მასთან მივიდა 40-იდან 45 წლამდე ასაკის კაცი, რომელსაც თან ხუთ წლამდე ბავშვი ახლდა. მამაკაცმა პოლიციელებს მიუთითა იქვე ახლოს მდგარ სამ ადამიანზე, რომლებიც ჩხუბის დაწყებას აპირებდნენ. ისინი თავიანთ მეგობრებს ტივოლის ბაღის შესასვლელთან მისვლისა და შვედ გულშემატკივრებთან ჩხუბის დაწყებისკენ მოუწოდებდნენ. მამაკაცის თქმით, მან ეს საუბარი მოისმინა, სანამ პოლიციას დახმარებისთვის მიმართავდა და მიუთითა სამიდან ერთ-ერთ პირზე, როგორც ასეთი მოწოდების ავტორზე. ეს პირი მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობდა. მოწმემ და მისმა კოლეგამ ბავშვიანი მამაკაცის განცხადება დამაჯერებლად და სანდოდ მიიჩნიეს. მათი აღქმით, მამაკაცი ფეხბურთის ტიპურ გულშემატკივარს არ ჰგავდა.²⁸

²² იქვე, §164.

²³ იქვე, §165.

²⁴ იქვე, §166.

²⁵ იქვე, §21.

²⁶ იქვე, §22.

²⁷ იქვე, §167.

²⁸ იქვე, §23.

პოლიციელებმა გააგრძელეს დაკვირვება ადამიანზე, რომელიც ტელეფონზე საუბრობდა. როდესაც სამმა მამაკაცმა შეამჩნია, რომ მათ პოლიციელები უთვალთვალელებდნენ, ისინი სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. ამის შემდეგ პოლიციელმა დააკავა ტელეფონიანი მამაკაცი. სხვა პოლიციელები, რომლებიც ავტომანქანით მოძრაობდნენ, დანარჩენ ორ გაქცეულს დაედევნენ და ისინიც დააკავეს.²⁹ მამაკაცი, რომელიც ტელეფონზე საუბრობდა და სხვებს ტივოლის ბაღში შვედებთან ჩხუბისკენ მოუწოდებდა, იყო პირველი მომჩივანი. მისი დაკავება მოხდა 16:45 საათზე.³⁰

სამივე მომჩივანი პრევენციულად დააკავეს „პოლიციის შესახებ“ დანიის კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე. იმის მიუხედავად, რომ პრევენციული დაკავების ზოგადი მაქსიმალური ვადა იყო 6 საათი, სამივე მომჩივნის მიმართ ეს ვადა გაგრძელდა: პირველი მომჩივნის დაკავების საერთო ხანგრძლივობა შეადგენდა 7 საათსა და 21 წუთს,³¹ მეორის - შვიდ საათსა და 37 წუთს,³² ხოლო მესამის - 7 საათსა და 24 წუთს.³³ ორპუსის საქალაქო სასამართლომ პრევენციული დაკავების 6-საათიანი ვადის გადაშეშება გაამართლა იმ გარემოებით, რომ პოლიციამ მთელი დღის განმავლობაში დააკავა ძალადობაში მონაწილე 138 ადამიანი. კოპენჰაგენის ქუჩაში ვითარება დაწყნარდა გვიან ღამით, მას შემდეგ, რაც 35 დანიელი დააკავეს. ამ დროისთვის მაყურებელი უკვე მისული იყო საკუთარ სახლებსა და სასტუმროებში. ქუჩაში აღარავინ იმყოფებოდა, ვისაც გათავისუფლებული საფეხბურთო ხულიგნები დაუპირისპირდნენ. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა მომჩივნების დაკავების ვადის 1 საათზე ოდნავ მეტი ხნით გახანგრძლივება.³⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ასევე შეფასებული აქვს პრევენციული დაკავების მომწესრიგებელი გერმანული კანონმდებლობა საქმეში SCHWABE AND M.G. v. GERMANY, რომელშიც კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინა.³⁵ ამ საქმეში განხილვის საგანი იყო გერმანიის ერთ-ერთი რეგიონის, მეკლენბურგ-ვესტ პომერანიას კანონმდებლობა. მისი „საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია, თუკი ეს აუცილებელია დანაშაულის მყისიერი საფრთხის პრევენციისა ან დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების აღსაკვეთად, ასევე, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ადამიანი ჩაიდენს დანაშაულს ან სხვას დაეხმარება მის ჩადენაში. ეს ვარაუდი უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ფაქტორებს:

ა) პირმა განაცხადა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ, სხვებს მოუწოდა დანაშაულის ჩადენისკენ, ან ატარებს ისეთ საგანს, რომელზეც გამოსახულია ამგვარი მოწოდება;

ბ) წარსულში პირი დაკავებული იყო მსგავსი საფუძველით, ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ მოსალოდნელია დანაშაულებრივი ქმედების გამეორება.³⁶

„საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ“ კანონის თანახმად, ადამიანი დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასა-

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, §168.

³¹ იქვე, §13.

³² იქვე, §14.

³³ იქვე, §15.

³⁴ იქვე, §26.

³⁵ SCHWABE AND M.G. v. GERMANY Applications nos. 8080/08 and 8577/08 §80, 1 December 2011.

³⁶ იქვე, §37.

მართლო კონტროლის შესაძლებლობით. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკავების კანონიერებისა და პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე. პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს. საქმე ექვემდებარება იმ რაიონის სასამართლოს განსჯადობას, სადაც პირის დაკავება მოხდა.³⁷

SCHWABE AND M.G. v. GERMANY საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2007 წლის 3 ივნისს 22:15 საათზე მომჩივნები, რომლებიც ქალაქ როსტოკში, დიდი რვიანის წინააღმდეგ ანტიგლობალისტების მიერ მოწყობილ აქციაში მონაწილეობის მისაღებად მიდიოდნენ, ვალდეკის ციხის მახლობლად პოლიციამ გააჩერა. მათ მოსთხოვეს პირადობის მოწმებები. პირველმა მომჩივანმა ხელი შეუშალა პოლიციას, დაედგინა მეორე მომჩივნის ვინაობა, რის გამოც, ორივე მათგანი დააკავეს. პოლიციამ შეამოწმა მომჩივანთა მანქანა, რომელშიც აღმოაჩინა ბანერი წარწერით „თავისუფლება ყველა პატიმარს“, „თავისუფლება ყველას.“ მომჩივნები დააკავეს, ხოლო ბანერები ჩამოართვეს.³⁸

წინა დღით, 2007 წლის 2 ივნისს, ქალაქ როსტოკში ანტიგლობალისტები ქვებით და ბეისბოლის ბიტებით თავს დაესხნენ პოლიციას. შედეგად, 400-მდე პოლიციელი დაშავდა.³⁹ სამიტის მიმდინარეობისას დააკავეს 1,112 ადამიანი, რომლებიც იზოლატორებში შეჭრას და ძალადობისთვის თავისუფლებააღკვეთილი ანტიგლობალისტების გათავისუფლებას შეეცადნენ.⁴⁰

2007 წლის 4 ივნისს რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, მომჩივნები 6 დღით დაეტოვებინა პრევენციულ პატიმრობაში.⁴¹ რაიონული სასამართლოს განმარტებით, მომჩივნების დაკავება აუცილებელი იყო დანაშაულის ჩადენის პრევენციისთვის. კონკრეტულად, მათ ჰქონდათ ბანერი, რომლითაც შეიძლებოდა ანტიგლობალისტების წაქეზება, თავს დასხმოდნენ ციხეებს და გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამოაზრეები. ამ საფრთხის არსებობა რაიონულმა სასამართლომ გაამყარა იმით, რომ მომჩივნები დააკავეს ვალდეკის ციხესთან.⁴² რაიონული სასამართლო ამ დასკვნას დაეთანხმა რეგიონული სასამართლო, რომელმაც აღნიშნა, რომ მომჩივნების ციხესთან ყოფნა და მათგან ბანერის ამოღება წარწერით „გათავისუფლეთ პატიმრები“ მიუთითებს მათი მხრიდან აგრესიული დემონსტრანტების წაქეზების შესაძლებლობაზე, რომ ისინი თავს დასხმოდნენ ციხეს აქციზე დაკავებული პატიმრების გამოსახსნელად. რეგიონულმა სასამართლომ დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობის რეალურობის წარმოსაჩენად გაიხსენა ის ფაქტი, რომ 2002 წელს მეორე მომჩივანს ბრალი ედებოდა რკინიგზის ბლოკირებაში მასზე კონტინერის განთავსების გზით. ამასთანავე, რეგიონული სასამართლო განმარტებით, 6 დღით მომჩივნების პატიმრობაში დატოვება აუცილებელი იყო, რათა მათ არ წამოეწყობთ დანაშაულებრივი ქმედება.⁴³ სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი გარემოებები.

³⁷ იქვე, §38.

³⁸ იქვე, §12.

³⁹ იქვე, §9.

⁴⁰ იქვე, §10.

⁴¹ იქვე, §13.

⁴² იქვე, §14.

⁴³ იქვე, §17.

4. პრევენციული დაკავების გამოყენების საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პრევენციული დაკავება დასაშვებია ამ ორი წინაპირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

- როდესაც პირი გეგმავს სამართალდარღვევის ჩადენას;
- როდესაც პირს წარსულში ჰქონდა სამართალდარღვევა ჩადენილი.

ქვემოთ განხილულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრევენციული დაკავების ეს საფუძველი რამდენად თავსებადია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან.⁴⁴

4.1. სამართალდარღვევის მომზადება-ჩადენის სტადია, რაც პრევენციული დაკავების საფუძველია

დანიისა და გერმანიის ზემოთ განხილული კანონმდებლობებისგან განსხვავებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული პრევენციული დაკავება დასაშვებია მაშინ, როდესაც პირი ამზადებს არა დანაშაულს, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი პირი ამზადებს სხვის ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, პოლიციას არ აქვს პრევენციული დაკავების უფლებამოსილება. სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცემა და სხვაგვარი ძალადობა ნაკლებად მძიმე დანაშაულია, ვინაიდან ისჯება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.⁴⁵

როგორც ზემოთ განხილული საქმეებიდან ჩანს, დანიისა და გერმანიის კანონმდებლობებით, პრევენციული დაკავება გამოიყენებოდა იმგვარი დანაშაულის მზადებისთვის, რომელიც, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცემისა და სხვაგვარი ძალადობის მომზადების მსგავსად, არ არის დასჯადი. თავისთავად ცხადია, თუკი ადამიანი ამზადებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს - მკვლელობას - და მისი მზადების პროცესში დააკავეს, ეს არის არა პრევენციული დაკავება, არამედ ადამიანის დაკავება მის მიერ უკვე განხორციელებული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მოსამზადებლად გადადგმული ნაბიჯებისთვის. ამის საპირისპიროდ, დანიური და გერმანული კანონმდებლობებით, პრევენციული დაკავება ხდება იმგვარი დანაშაულის მზადებისთვის, რომელიც არ არის დასჯადი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით და რომლის ჩადენისას ამოქმედებას არ იწყებს სისხლის სამართლის მატერიალური ან საპროცესო კოდექსი. ეს კოდექსები ამოქმედდებოდა დანაშაულის მზადების დასჯადობის შემთხვევაში და მოხდებოდა ადამიანის დაკავება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეორე ალტერნატივასთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, „კანონიერი დაკავება და დაპატიმრება დასაშვებია, თუ ეს გონივრულად აუცილებლად არის მიჩნეული დანაშაულის პრევენციისთვის“.

⁴⁵ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილით, ნაკლებად მძიმეა ისეთი დანაშაული, დანიშნული სასჯელის მაქსიმალური ზომა არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.

დანიისგან განსხვავებით, სადაც პრევენციული დაკავება „პოლიციის შესახებ“ კანონით რეგულირდება, საქართველოში ამ საკითხს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ პოლიციას შეუძლია, ადამიანი დააკავოს, თუ ის ამზადებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ სამართალდარღვევას, მაგალითად, წვრილმან ხულიგნობას. თუმცა, იმავდროულად, პოლიცია პრევენციულად ვერ დააკავებს ადამიანს, რომელიც ამზადებს უფრო მძიმე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს. პრევენციული დაკავების ინსტიტუტი რომ „პოლიციის შესახებ“ კანონით ყოფილიყო დარეგულირებული, პოლიციას პრევენციული დაკავების შესაძლებლობა ექნებოდა როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მომზადებისა და მცდელობის, ისე იმგვარი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადების შემთხვევაშიც, რომელიც არ არის დასჯადი სისხლის სამართლის კოდექსით.⁴⁶

სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს დაუმთავრებელი დანაშაულის ორ შემთხვევას, დანაშაულის მომზადებას და დანაშაულის მცდელობას. დანაშაულის მომზადებად მიიჩნევა მის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა,⁴⁷ ხოლო მცდელობად - გამიზნული ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, თუმცა ის ბოლომდე არ იყო მიყვანილი.⁴⁸ სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მხოლოდ დასრულებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის. სხვა სიტყვებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩასადენად პირობების შექმნა (მომზადება) და ქმედების განხორციელება, როდესაც შედეგი არ დგება სამართალდამრღვევისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ არის დასჯადი.

ამის მიუხედავად, დაკავების საფუძვლებში პრევენციული დაკავების შემოღებით, პოლიციას წარმოეშობა ადამიანის წინასწარი დაკავების უფლებამოსილება იმგვარი სამართალდარღვევის მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე, რომელიც, თავისთავად, დასჯადი არ არის.

ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება პრევენციული დაკავების დამდგენი ნორმის განჭრეტადობის პრობლემას. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში წარმოეშობა პოლიციას მისი დაკავების უფლებამოსილება, რათა თავიდან აიცილოს ის მიზეზები, რომლებიც პოლიციას მისი დაკავების შესაძლებლობას უჩენს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: „განსაზღვრულობის მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია იმ საპოლიციო ფუნქციის (მოქმედების) დამდგენი ნორმების მიმართ, რომლებიც კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას იწვევს. კანონმდებლობის განსაზღვრულობის პრინციპიდან გამომდინარეობს პოლიციელის უფლებამოსილებების მკაცრად და ცხადად რეგლამენტირების კონსტიტუციური ვალდებულება. აუცილებელია, რომ პოლიციის უფლებამოსილებები, მათი საფუძვლები და განხორციელების წინაპირობები მკაფიოდ იყოს გაწერილი“.⁴⁹ „განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს იმგვარი საკანონმდებლო

⁴⁶ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი.

⁴⁷ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი.

⁴⁸ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი.

⁴⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-25.

სისტემის შექმნას, რომელიც პირს იცავს სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან. ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს თვითნებობისთვის, შესაბამისად, კანონმდებელმა მაქსიმალურად მკაფიო, განსაზღვრული ნორმატიული რეგულირებით უნდა შეამციროს თვითნებობის რისკები სამართალშემფარდების პროცესში“.⁵⁰ იმისთვის, რომ საკანონმდებლო ნორმამ დააკმაყოფილოს განსაზღვრული ხარისხობრივი სტანდარტები, მნიშვნელოვანია, ადრესატმა შეძლოს მისი სწორად აღქმა, ნორმა იძლეოდეს მკაფიო შეტყობინებას აკრძალული ქმედების ფარგლებისა და შინაარსის, ასევე, სამართლებრივი შედეგების თაობაზე.⁵¹

განსახილველი ნორმის განუჭვრეტელი ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ, ზუსტი რეგულირების დაუდგენლობის გამო, შეუძლებელია იმის ამოცნობა, როდის აქვს პოლიციას ადამიანის დაკავების შესაძლებლობა - მხოლოდ მაშინ, როცა ის, თავისი მოქმედებით, შექმნის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩასადენად პირობებს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მზადება) თუ უფრო ადრეულ ეტაპებზე. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ დანაშაულის ჩადენის სურვილის გამომჟღავნება არ ნიშნავს დანაშაულის მომზადებას: „პირველ რიგში, არ უნდა გავაიგივოთ დანაშაულის მომზადება განზრახვის გამომჟღავნებასთან, რამეთუ განზრახვის გამომჟღავნება შეიძლება გამოიხატოს ძალიან მარტივ ფორმებში, როგორცაა მისი ხმამაღლა წარმოთქმა, ჟესტიკულაცია, წერილობითი ფორმა და სხვა კონკლუდენტური მოქმედება. რამდენადაც ქართული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ანუ კრიმინალიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგნულად გამოხატული ქმედება, ამდენად, განზრახვის გამომჟღავნების დასჯადობის აღიარება იქნება დემოკრატიულ პრინციპებზე ხელის აღება“.⁵²

ცხადია, ქმედების ჩადენის სურვილის გამოხატვა არ ნიშნავს ამ ქმედების ჩადენის მომზადებას, თუმცა ქმედების ჩადენის სურვილის გაჩენა არის ამ ქმედების განხორციელების პირველი ეტაპი: „როგორც წესი, თავდაპირველად პირს წარმოემობა დანაშაულის ჩადენის სურვილი (ქმედების ჩადენის განზრახვის აღმოცენება), რომელიც არ არის დასჯადი სტადია“.⁵³ ადამიანი ვერც ადმინისტრაციული და ვერც სისხლისსამართლებრივი წესით ვერ დაისჯება დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის სურვილის გამოხატვისთვის, ეს ნათელია, თუმცა, ბუნდოვანია, რამდენად შესაძლებელია ამ შემთხვევაში ადამიანის პრევენციული დაკავება.

ნორმის განუჭვრეტელი ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ კანონში მკაფიო და ნათელი მითითებით არ ზღუდავს პოლიციას, თუ როდის უნდა გამოიყენოს პრევენციული დაკავების უფლებამოსილება: მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მომზადება ან მცდელობა, თუ უფრო ადრეულ სტადიაზე, როდესაც ადამიანს გაუჩნდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის სურვილი, ამ სურვილს საჯაროდ ან კერძო სივრცეში გამოხატავს, თუმცა

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ», II-29.

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵² სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“, ბილისი, 2007 წ. გვ. 157.

⁵³ მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წ. გვ. 302.

არავითარ მოსამზადებელ ნაბიჯს არ გადადგამს, რათა მომავალში ამ სამართალდარღვევის ჩაღწევა გაიადვილოს.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტული და რეალური საფრთხის ტესტს. ამას კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ადამიანის დაკავება შესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

4.2. სამართალდარღვევის ჩაღწევის რეციდივი

ბუნდოვანია პრევენციული დაკავების მეორე პირობაც - წარსულში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩაღწევის ფაქტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ სახელდადებულ პირს სახელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუღწეია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი სახელდაუდებლად ჩაითვლება. ამ ჩანაწერის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკა იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ სამართალდარღვევის განმეორებით ჩაღწევა არ გულისხმობს მხოლოდ 1-წლიან პერიოდს. ამ ვადის გასვლა არ აქარწყლებს ადამიანის სტიგმატიზაციას.⁵⁴

ამ პრაქტიკაზე დაყრდნობით, არსებობს იმის საშიშროება, რომ, სამართალდარღვევის ჩაღწევიდან და სახელის დაკისრებიდან ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის მიუხედავად, ადამიანი კვლავაც იყოს სტიგმატიზებული. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის საფუძველზე, პოლიციამ პრევენციულად დააკავოს პირი, რომელმაც ორი ან მეტი წლის წინ ჩაიღწეა სამართალდარღვევა. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლის შეღავათი (რომლის მიხედვითაც, სახელის დაკისრებიდან ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ პირი აღარ ჩაითვლება სახელდადებულად), შესაძლოა, აღარ გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლში მოცემულ ფორმულირებაზე - „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩაღწევის პრევენციის მიზნით დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება“ - და დააკავონ ადამიანი, რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ დაკისრებია სახელი. სამწუხაროდ, არსებობს ნორმის ფართოდ განმარტების რესურსი, რაც გულისხმობს რომ, ამ მუხლის საფუძველზე, დასაშვებია არა მხოლოდ იმ პირების დაკავება, რომლებთან მიმართებითაც სახელის დაკისრებიდან არ გასულა ერთი წელი, არამედ მათიც, რომლებთან დაკავშირებითაც ეს ერთწლიანი ვადა გასულია და ამ დროის განმავლობაში მათ ახალი სამართალდარღვევა არ ჩაუღწეიათ.

ამგვარად, პრევენციული დაკავების უფლებამოსილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის სამუდამო სტიგმატიზაცია და შეუძლებელი გახადოს მისი რეაბილიტაცია, იმის მიუხედავად, რა დროა გასული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩაღწევიდან და სახელის მოხდიდან. ამაში პოლიციას ეხმარება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1-ლი მარტის №271 ბრძანება,⁵⁵ რომლის თანახ-

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის №1/14/1809 განჩინება საქმეზე „ნატალია ფერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-6.

⁵⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი ადრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და საადრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1-ლი

მად, პერსონალური ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ აქტიური სახით ინახება 8 წლის განმავლობაში, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის რომელიმე უფლების 8 წელზე მეტი ვადით შეჩერების/ჩამორთმევის შემთხვევაში - უფლების შეჩერების/ჩამორთმევის ვადით. მოცემული დროის გასვლის შემდეგ მონაცემები დაარქივებული სახით ინახება 20 წლის განმავლობაში. ამ ელექტრონული ბაზის გამოყენებით, მსს-ს შეუძლია, შეამოწმოს, აქვს თუ არა ადამიანს ჩადენილი სამართალდარღვევა 8 ან, თუნდაც, 20 წლის წინ და, ამის საფუძველზე, პრევენციულად დააკავოს იგი.

ამგვარად, წარსულში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თავისთავად, არ უნდა გახდეს ადამიანის მიმართ პრევენციული დაკავების გამოყენების საფუძველი.

მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ“ ინსტრუქცია.

5. მყისიერი საფრთხე, სამართალდარღვევის კონკრეტულობის და სპეციფიკურობის მოთხოვნა

მყისიერი საფრთხის ტესტი არის ის, რაც დადგენილია როგორც დანიურ, ისე გერმანულ კანონმდებლობაში ადამიანის პრევენციული დაკავების გასამართლებლად. დაკავების მომენტისთვის უკვე უნდა არსებობდეს სამართალდარღვევის ჩადენის საფრთხე, რომ, თუკი ადამიანს დაუყოვნებლივ არ დააკავებენ, მოკლე ხანში სამართალდარღვევა იქნება ჩადენილი. „საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ“ კანონის მეკლენბურგ-ვესტ პომერანიას 55-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის დაპატიმრება დასაშვებია, თუკი ეს აუცილებელია დანაშაულის მყისიერი საფრთხის პრევენციისთვის“.⁵⁶

„პოლიციის შესახებ“ დანიის კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პრევენციული დაკავების გამოსაყენებლად უნდა დამტკიცდეს, რომ ადამიანი ქმნის „რისკს ან საფრთხეს“, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის და საზოგადოების უსაფრთხოების მიმართ კონკრეტულ და მყისიერ რისკებს. ყველაზე მნიშვნელოვანია ალბათობა, რომ რისკი და საფრთხე რეალიზდება, თუ პოლიციელი მას არ აღკვეთს.⁵⁷

ეს პრინციპი განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაც: „ევროპული სასამართლოს აზრით, დაკავების გასამართლებლად და კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებთან შესაბამისობისთვის ხელისუფლებამ დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობს ალბათობა, შესაბამისმა პირმა ჩაიდინოს კონკრეტული და სპეციფიკური სამართალდარღვევა, თუკი დაკავებით არ მოხდება ამ ქმედების ჩადენის პრევენცია“.⁵⁸

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი პოლიციას არ აკისრებს ვალდებულებას, პრევენციულად დააკავოს ადამიანი მხოლოდ მაშინ, როცა ამ დონისძიების გამოყენების გარეშე ის მომენტალურად ჩაიდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ქართულ პოლიციას პრევენციული დაკავების შესაძლებლობა აქვს არა იმწუთიერად, არამედ შორეულ მომავალში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პრევენციის მიზნითაც.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი არ შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ვინაიდან ადამიანის პრევენციული დაკავებისთვის სავალდებულოდ არ მიიჩნევა, რომ ეს დაკავება ემსახურებოდეს სამართალდარღვევის ჩადენის მყისიერი საფრთხის აღმოფხვრას. იმავდროულად, პოლიციელს არ ევალდება, პრევენციულ დაკავებამდე დაასაბუთოს, რა კონკრეტული და სპეციფიკური სამართალდარღვევის ჩადენას აპირებდა დაკავებული პირი, რა დროს და რა ადგილას უნდა მომხდარიყო ეს სამართალდარღვევა და ვინ იქნებოდა მისი მსხვერპლი. ამგვარ სტანდარტებს არც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი და არც სხვა საკანონმდებლო ნორმები არ მოიცავს, რაც პრევენციულ დაკავებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს მოაწესრიგებდა.

⁵⁶ SCHWABE AND M.G. v. GERMANY Applications nos. 8080/08 and 8577/08 §37, 1 December 2011.

⁵⁷ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §30, 22 October 2018.

⁵⁸ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §91, 22 October 2018.

6. სასამართლო კონტროლი და დაკავების ხანგრძლივობა

სასამართლო კონტროლის არსებობა და დაკავების ხანგრძლივობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხებია. V. AND A. v. DENMARK საქმეში დადგენილი სტანდარტის თანახმად, არ არსებობს სასამართლო კონტროლის საჭიროება, თუ პრევენციულად დაკავებულ ადამიანს მალევე ათავისუფლებენ და პირიქით - სასამართლო კონტროლი აუცილებელია, თუკი ადამიანის დაკავება დიდხანს გრძელდება.

სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-5 მუხლის ინტერპრეტაცია არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ პოლიციას არ ჰქონდეს საკუთარი უფლებამოსილების - წესრიგის შენარჩუნების და საზოგადოების დაცვის - განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა. იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს მე-5 მუხლის ფუძემდებლური პრინციპი - ინდივიდების დაცვა თვითნებობისგან.⁵⁹

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც ადამიანი გათავისუფლდება მოკლევადიანი პრევენციული დაკავებიდან იმის გამო, რომ რისკი ჩაივლის ან, მაგალითად, დადგენილი ვადა ამოიწურება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე დაკავებულის წარდგენის მიზანი, როგორც ასეთი, არ არის დაბრკოლება იმისთვის, რომ მოკლევადიანი პრევენციული დაკავება მოექცეს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეორე ალტერნატივის მოქმედების სფეროში.⁶⁰

როგორც ზემოთ ითქვა, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სასწრაფოდ უნდა წარედგინოს მოსამართლეს. ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პრევენციულ დაკავებასაც (იხილეთ ზემოთ ციტირებული Lawless §14). მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოიცავს პროცედურულ გარანტიას, რომ მოსამართლემ ან კანონით სასამართლო ხელისუფლების განმასრვლებელმა თანამდებობის პირმა უნდა მოუსმინოს მის წინაშე უშუალოდ წარდგენილ ადამიანს. ამასთანავე, ამ თანამდებობის პირს ეკისრება ვალდებულება, განიხილოს გარემოებები, რომლებიც მეტყველებს პატიმრობის გამოყენების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. მანვე უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ფაქტები, რომლებიც პატიმრობას ამართლებს. როდესაც ასეთი გარემოებები არ ვლინდება, მოსამართლემ უნდა გასცეს პირის გათავისუფლების ბრძანება. დაკავებისა ან დაპატიმრების თავდაპირველი ავტომატური შემოწმება ტარდება დაკავების კანონიერების დასადგენად. ასევე, ამ დროს უნდა გადაწყდეს, რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული.⁶¹

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „სისწრაფის“ მოთხოვნები განსაზღვრავს კრიტერიუმებს იმ ვადის დასადგენად, რა დროშიც ადამიანი უნდა გათავისუფლდეს სასამართლოში მისი წარდგენის გარეშე. ამ კუთხით მკაცრი შეზღუდვის დაწესება ტოვებს მოქნილობის ნაკლებ შესაძლებლობას. მეორე მხრივ, თუკი პროცედურული გარანტიები ინდივიდის საზიანოდ მნიშვნელოვნად დასუსტდება, არსებობს კონვენციით დაცული უფლებების შინაარსისგან დაცლის რისკი.⁶²

⁵⁹ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §123, 22 October 2018.

⁶⁰ იქვე, §126.

⁶¹ იქვე, §128.

⁶² იქვე, §130.

მართალია, ოთხ დღეზე მეტი ხნით დაკავება, *prima facie*, ძალიან ხანგრძლივია, ზოგიერთ სიტუაციაში, ამაზე უფრო მცირე ვადის განსაზღვრამ, შესაძლოა, დაარღვიოს სისწრაფის მოთხოვნა. მაგალითად, საქმეებში - *İpek and Others v. Turkey* და *Kandzhov v. Bulgaria* ევროპულმა სასამართლომ სამი დღის და 9 საათის, ასევე, სამი დღის და ოცდასამი საათის ვადით დაკავება „სისწრაფის“ მოთხოვნის დარღვევად მიიჩნია.⁶³

საქმეზე *V. AND A. v. DENMARK* დადგენილი პრინციპების საფუძველზე უნდა შეფასდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი დებულებები. ამ კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული დაკავების დროს დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათით. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი წერილობით ასაბუთებს ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობას. თუ დაკავებული პირი ამ ვადაში არ წარედგინება სასამართლოს, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.⁶⁴ ამგვარად, ყველა სახის, მათ შორის, პრევენციული დაკავებისთვის დაწესებულია 24 საათი. ეს ვადა შეიძლება კიდევ 24 საათით (საბოლოო ჯამში - 48 საათი) გაიზარდოს, თუკი აუცილებელია მტკიცებულების მოპოვება.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციული დაკავება ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ნების გამოვლენის, მისი მზადების ან მცდელობის ეტაპზე. არცერთი ეს ქმედება არ არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადი. შესაბამისად, თუკი ადამიანი დააკავეს პრევენციული მიზნებისთვის, რათა მან ბოლომდე არ მიიყვანოს მზადების ან მცდელობის ეტაპზე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეწყვეტილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, არავითარი საჭიროება არ არსებობს, მისი დაკავება 48 საათამდე გახანგრძლივდეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც 48 საათამდე ადმინისტრაციული დაკავების ვადის გაზრდა აუცილებელია მტკიცებულების მოსაპოვებლად, რომელიც ადამიანს სამართალდარღვევის ჩადენაში ამხელს. როდესაც თავიდანვე ნათელია, რომ ადამიანმა მხოლოდ სამართალდარღვევის მოსამზადებელი ქმედება განახორციელა ან ჰქონდა ამის მცდელობა და არცერთი მათგანი არ არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადი, დაკავების 24-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ აღარც სხვა მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვება არ არის აუცილებელი. შესაბამისად, 48-საათიანი ვადის გამოყენება, მოცემულ შემთხვევაში, გაუმართლებელია.

შესაძლოა, პოლიციამ 24 საათის განმავლობაში ვერ გაარკვიოს, როდის მოხდა ადამიანის დაკავება - მცდელობის თუ დასრულებული სამართალდარღვევის სტადიაზე, რაც ალბათ გამოწვევის უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაშიც კი, პრევენციული დაკავება მაინც არაპროპორციული ღონისძიება იქნება. პრევენციული დაკავება უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე საფრთხე აღმოიფხვრება. ეს კი რამდენიმე საათის და არა დღეების საკითხია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით განისაზღვრა პრე-

⁶³ *V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §131, 22 October 2018.*

⁶⁴ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის შესაბამისად.

ვენციული დაკავება, ხოლო იმავდროულად, დაკავების ამ დონისძიებაზე გავრცელდა ის ვადები, რომლებიც გამოიყენება, ზოგადად, პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება. ეს მიდგომა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ სტანდარტებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქმეში V. AND A. v. DENMARK.

7. პრევენციული დაკავება, რომლის ultima ratio საშუალებაც

კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც პრევენციულ დაკავებასთან მიმართებით დადგენილია საქმეში V. AND A. v. DENMARK, არის ის, რომ ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, დასახელებული ღონისძიების გამოყენებამდე, სხვა ნაკლებად მკაცრი ალტერნატივები განიხილოს. ევროპული სასამართლოს აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება არასაკმარისია საჯარო ან კერძო ინტერესების დასაცავად, ხდება დაკავების გამოყენება. პრევენციული დაკავება არ შეიძლება გონივრულად იყოს მიჩნეული, თუკი არ დამყარდება სათანადო ბალანსი დემოკრატიულ საზოგადოებაში მყისიერი დანაშაულის ჩადენის პრევენციის ინტერესსა და ფიზიკური თავისუფლების უფლების მნიშვნელობას შორის.⁶⁵

თუკი კანონმდებლობას სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით წავიკითხავთ, შეიძლება ითქვას, რომ დაკავების, როგორც უკიდურესი საშუალების გამოყენების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული: „საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როდესაც ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა“.

ამგვარად, ადმინისტრაციული დაკავება დასაშვებია მაშინ, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა საშუალებები. აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ფაქტმა, რომ დაკავება მოხსენიებულია ისეთ ღონისძიებებს შორის, როგორებიცაა პირადი და ნივთების გასინჯვა, ასევე მათი ჩამორთმევა. ისინი დაკავების თანმდევი ღონისძიებებია.

რა შეიძლება იყოს ზემოქმედების სხვა ღონისძიებები, რომლებმაც შეიძლება პრევენციული დაკავება ჩაანაცვლოს? ეს ასპექტი დარეგულირებულია „პოლიციის შესახებ“ კანონით, რომელიც აწესრიგებს როგორც დანაშაულის, ისე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პრევენციის საკითხს.⁶⁶ ეს ღონისძიებებია: პირის გამოკითხვა; პირის იდენტიფიკაცია; პირის მოწვევა; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური საპოლიციო კონტროლი; ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა.⁶⁷

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაკავების მსხვერპლს უნდა ჰქონდეს დავის წამოწყების და კომპენსაციის მიღების უფლება, თუკი პოლიცია გამოიყენებს პრევენციულ დაკავებას მაშინ, როცა იმავე მიზნის მიღწევა, იმავე ეფექტურობით, მას შეეძლო სხვა ნაკლებად მზლუდავი საშუალების გამოყენებით.⁶⁸

ამგვარად, მაშინ, როცა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია დაკავებაზე უფრო ნაკლებად მზლუდავი საშუალებით, ირღვევა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. ამ დებულების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილია ზიანის ანაზღაურების სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. ამ სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ სხვა

⁶⁵ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §161, 22 October 2018.

⁶⁶ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁶⁷ იქვე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

⁶⁸ V. AND A. v. DENMARK Applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12 §136, 22 October 2018.

ნაკლებად მზღუდავი საშუალებით პოლიციას შეეძლო, მიეღწია ლეგიტიმური მიზნისთვის. ეს კი მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურების საფუძველია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელის წარდგენა, რაც გარანტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლებით, არის პრევენციულ დაკავებაზე სასამართლო კონტროლის ერთადერთი საშუალება, როცა ეს დაკავება რამდენიმე საათში მთავრდება და არა იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული დაკავება 48 საათი (ორი დღე-ღამე) გრძელდება, როგორც ამას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავტომატური სასამართლო კონტროლი, მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა, რომელიც ასეთ დროს ავტომატურ სასამართლო კონტროლს გამორიცხავს.⁶⁹

⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №2/31/1768 განჩინება საქმეზე „დავით ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

8. დასკვნა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლში პრევენციული დაკავების უფლებამოსილების გაჩენის იზოლირებულმა ცვლილებამ წარმოშვა კომპლექსური საკითხები, რომლებიც ამ ეტაპზე არც კანონმდებლობით და არც სასამართლო პრაქტიკით არ არის გადაწყვეტილი. ამ საკანონმდებლო ცვლილებამ გააჩინა განჭვრეტადობის პრობლემა იმ თვალსაზრისით, რომ უცნობია, რა ეტაპზე ჩნდება პირის პრევენციული დაკავების უფლებამოსილება - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ სურვილის საჯაროდ ან პირად სივრცეში გამოხატვიდან, თუ იმ მომენტიდან, როცა ადამიანი კონკრეტული ქმედებით მოამზადებს ან შეეცდება სამართალდარღვევის ჩადენას. ასევე, გაურკვეველია, პოლიციას მხოლოდ იმის უფლება აქვს, პრევენციულად დააკავოს პირი, რომლისთვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელის დაკისრებიდან ერთი წელი არ არის გასული, თუ შეუძლია ნებისმიერი ისეთი ადამიანის დაკავება, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩაუდენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, სახდელის დაკისრებიდან გასული პერიოდის მიუხედავად. პრევენციული დაკავება არ ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორების მყისიერი საფრთხე. ამასთანავე, პოლიციას აქვს ადამიანის პრევენციული დაკავების შესაძლებლობა ისე, რომ მას არ ეკისრება იმ კონკრეტულ და სპეციფიკურ სამართალდარღვევაზე მითითების ვალდებულება, რომლის ჩადენის პრევენციისთვისაც პირს აკავებს. სამართალდარღვევათა კოდექსი პოლიციისგან არ ითხოვს, მიუთითოს ადგილი და დრო, სადაც შეიძლებოდა სამართალდარღვევა მომხდარიყო, ან დაასახელოს ამ სამართალდარღვევის პოტენციური დაზარალებული. პრევენციული დაკავების შემთხვევაში გამოიყენება ადმინისტრაციული დაკავების ზოგადი ვადები: ერთი დღე-ღამიდან ორ დღე-ღამემდე პერიოდი, მაშინ, როცა სასამართლო კონტროლის გარეშე პრევენციული დაკავება დღე-ღამის კი არა, რამდენიმე საათის განმავლობაში უნდა დასრულდეს - იმ მყისიერი საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას განაპირობებს. კანონმდებლობა ადგენს პრევენციული დაკავების, როგორც *ultima ratio* საშუალების გამოყენების ვალდებულებას, თუმცა პრაქტიკაში აუცილებელია ამ მოთხოვნის ზედმიწევნით დაცვა.